წერის პროცესი

1 წერის დაწყებამდე

- დაიწყე გონებრივი იერიშით.
- განსაზღვრე წერითი ნამუშევრის მიზანი, თემა, მკითხველი (ადრესატი) და ფორმატი.
- შეადგინე წერითი ნამუშევრის მოკლე გეგმა.

2 წერა

- დაიწყე წერა.
- შექმენი პირველი შავი ვარიანტი. ყურადღება გაამახვილე მთავარ იდეებსა და დამხმარე დეტალებზე.
- შენს პირველ ნაწერს მოგვიანებით დახვეწ და გადაამუშავებ.

3 გადამუშავება

- გადაიკითხე პირველი ვარიანტი გაუზიარე ნაწერი პარტნიორს.
- მიაქციე ყურადღება ტექსტის შინაარსს, აბზაცებისა და წინადადებების თანმიმდევრობას, სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებას, გადმოცემის სტილსა და ტონს.
- დაფიქრდი დეტალებზე (სიტყვებსა და წინადადებებზე), რომლებიც შეიძლება შეიცვალოს, გადაადგილდეს, ჩაემატოს ან ამოიშალოს.
- ჩაასწორე პირველი ვარიანტი და შეიტანე მასში საჭირო ცვლილებები.

4 რედაქტირება და კორექტირება

- წაიკითხე გადამუშავებული ნაწერი. შეასწორე გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები.
- ასევე შეასწორე შეცდომით დაწერილი ასოები და სასვენი ნიშნები.
- დაიცავი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

5 გამოქვეყნება პრეზენტაცია

- გამოაქვეყნე დასრულებული ნამუშევარი.
- ამისთვის სხვადასხვა საშუალებებს შეგიძლია მიმართო, მაგალითად, წაუკითხო ნაწერი კლასს, ამობეჭდო და განათავსო საკლასო გაზეთში ან კედელზე, ატვირთო ბლოგზე ან კლასის ვებგვერდზე.
- სასურველია, ტექსტს შესაფერისი ილუსტრაციებიც დაურთო.